კვირა 14 სექტემბერი, 1930 წ. № 34 (270) ფასი 10 კაპ.

ტარტა როგი

Библиотека-Музей имени Акад. Н. Марра

12 575

ავტოშინა—ეს „კრებული“ აქ ყოველდღე საქეიფოდ მოდის;
ნეტავ როდის აცივდება! მოვისვენებ როდის?!

„ბრალდება“

„შეურაცყოფილი“

— ოლქის მასშტაბით ვმუშაობდი და ცოლი მაინც მისაყვედურებდა... ეხლა რაიონში წავალ სამუშაოდ?!... არასოდეს!

დიდგა შურისძიების დრო.

წმენდაზე გამოიძახეს ქარხნის დირექტორის თანაშემწე სიმონ მშვიდობაძე, დაწინაურებული მუშა.

ყველანი კარგად ახასიათებენ სიმონს.

— რაო?—წამოიშახა კუთხეში ვიღაცამ და როცა ზეზე წამოდგა, ყველას ნისკენ მიახედა.

ეს ყიამყრალაძე იყო, ლევანი.

ლევანმა ნამძინარევი და სიმთვრალისგან დაწითლებული თვალები დიუბანელ ხელებით ამოწმინდა, განზე გადააფურთხა, ტუჩები სახელოთი მოიწმინდა და დაიწყო:

— ყველაფერი სიცრუეა, რასაც მშვიდობაძეზე ამბობთ. მშიშარები ხართ და მელა-კუდები, გეშინიათ მისი.

მე ვამბობ და ვამტკიცებ, რომ სიმონ მშვიდობაძე გადაგვარებული ელემენტია, მან დაჰკარგა მუშური იერი და სახელი. ის ჩვენს ბანაკში აღარ არის!

— სიცრუეა, სტყუი... ეს ცილისწამებაა! — გაისმა მუშების პროტესტი.

— მაშ რას ნიშნავს თუ არა გადაგვარებას, რომ მშვიდობაძე აღარ იცავს მუშების ინტერესებს? ამაწუხანედ ორი კვირით მომხსნა სამუშაოდან და...

— ძალიან კარგი უქნია, ეგებ გამოსწორდე.

— მე მშვიდობაძე ვერ გამასწორებს, მე არ მჭირია გასწორება... აი, თუ გინდათ აიღეთ გუშინდელი მაგალითი. რამდენიმე ამხანაგი რესტორანში ვიჯექით და ვსვამდით. ამ დროს ჩამოიარა ამ ვაუბატონშა, დავი ნახეთ და დავედევნე, მივიპატიჟე, მაგრამ, ხა-ხა-ხა-ხა! დირექტორს „ბატონმა“ თანაშემწემ იუკადრისა თავის „ყოფილ ამხანაგებთან“ სუფრაზე დაჯდომა და პურის ჭამა.

ის არა ერთჯერ დაემუქრა მე და ჩემს ამხანაგებს სამუშაოდან დათხოვნით... სადაური ძვილი ქარხნის პატრონი მაგ გამიხდა? მან ჯერ კიდევ ის ვერ შეიგნო, რომ ქვეყანა და ქარხნები ჩვენია, მუშების.

— ერა შენისთანა მუშების! —დაუძახა ვიღაცამ.

— გაგვიდიდკაცდა „ამხ.“ სიმონ მშვიდობაძე. როდესაც ხალხს ესალმება, ინტელიგენტურად ქუდს იხდის (სხვანაირად სალამის მიცემა ხელს არ აძლევს!)..

მე ვიცი ყველაფერი მისი ამბავი, ახლოს ვცხოვრობ. კვირაში ერთჯერ მაინც დადის აბანოში, ყოველ მესამე დღეს სახლში თავს იბანს. ხოლო დილა-საღამოს — პირს საპნით. განა ეს არ ნიშნავს გადაგვარებას? ანდა რა საჭიროა კვირაში თეთრეულის გამოცვლა, როცა მე თვეშიაც მეზარება ერთჯერ გამოცვლა, აბანოში წელიწადში თუ წავალ ერთხელ, ისიც ცოლის იძულებით, საპნით ხელს მხოლოდ დღესასწაულებზე ვიბან.

დარბაზში სიცილი გაისმა.

— მთვრალია, რას ლაპარაკობს არ იცის!—დაიძახა ვიღაცამ.

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნასწავლი და ლამაზი ქალი შეირთო. ეს არ არის მემარჯვენე გადახრა? არის. ამას ბურჟუაზიული სუნი სდის. ლამაზი და ნასწავლი ქალი არც ჩვენ გვაწყენს, მაგრამ ჩვენ მუშები ვართ და მუშა ქალები უნდა შევირთოთ.

— სიმონის ცოლა მუშაა; ქარხანაში მუშაობს.

— ეს სულერთია, ნასწავლია. თუ გინდ ამასაც თავი დავანებოთ, რად უნდოდა ტანსაცმელების შკაფი, რომ გამოიტანა მუშკოოპიდან ნისიათ? რა საჭიროა რადიო სახლში? გუშინ რომ მისმა ცოლმა ახალი დანაჩანგალი იყიდა, რად უნდა მუშას დანაჩანგალი? ეს ბურჟუების საქმეა. ხელზე ხუთი თითი ამიტომ მოუცია ღმერთს, რომ საჭმელი შენივე თითებით ჭამო. შვებულება რომ აგარაკზე გაატარა, ეს არ არის გადაგვარების ნიშანი?! კინოებში და თეატრებში რომ დადის, არც ლექციებსა და კონცერტებს აკლდება, ერთი მითხარით, ეს სიდაური მუშური საქმეა?!.

სადილის შემდეგ დესერტს რომ მიირთმევს, ეს არ არის მემარჯვენე და ბორჟუაზიული გადახრა? მე ერთი კვარტი ღვინის ყიდვა მიჭირს დღიურად და ეს კი სადილს ისე არ გეახლებათ, თუ ბოლოს ხილი არ დაატანა.

კვირაში ორჯერ იპარსავს წვერს და ერთხელ თმას იკრეჭს ინგლისელსავით. ოთახებს რემონტი გაუკეთა და ფერადი საღებავით შეღება კედელი. რადიო არ იკმარა და გრამაფონიც შეიძინა. რად უნდა გრამაფონი, როცა ქეიფი არ უყვარს. დაოჯახას და უყურეს თვითონ მან და მისმა ცოლმა. ეს არის მასებისაგან მოწყვეტა. ყველაფერი ეს იმას ნიშნავს, რომ სიმონ მშვიდობაძე გადაგვარების გზაზე სდგას და მიეჩეხება მემარჯვენე და ბურჟუაზიულ ელემენტებისკენ... საჭიროა მისი შემობრუნება.

ზმუკი.

თითების მაკრაბრუტი

ოლონდაც რომ შევცოდე უფალს და ამხანაგების დავალებით მოვინდომე ცნობის მიღება მუშკოოპის გამგეობის გამანაწილებელ განყოფილებაში.

შეხვალ, რას შეხვალ, რით შეხვალ, რატომ უნდა შეხვიდე!

მუშკოოპის გამგეობას, მის საორგანიზაციო და რაციონალიზატორულ განყოფილებებს ისე მოუწესრიგებიათ გამანაწილებელი განყოფილების საქმიანობა, რომ თითებს ჩაიკვნეტ!

გამანაწილებელი განყოფილება მოთავსებულია პირველ სართულში, ყველაზე ვრცელ დარბაზში.

რომ შევედი თვალები ამიჭრელა უზარმაზარმა პლაკატებმა: „მომხმარებელო, მიიღე მონაწილეობა კოოპერაციის მუშაობის გაჯანსაღებაში“! —ღაღადებს პლაკატი.

— მოდი ერთი მართლა მივიღო,— ვფიქრობ მე და მივდივარ მაგიდასთან, სადაც მუშკოოპის მუშაკი აშენებს დანართებისა და მიწერილობების პირამიდებს.

— რა მონაწილეობა უნდა მივიღო, —ვამბობ გულში,—როცა ამ ერთ კაცს ასი მომხმარებელი შემოხვევია მონაწილეობის მისაღებათ!

ჩავდექი რიგში და ორი საათის შემდეგ მივაღწიე.

— თუ შეიძლება, როგორც ადკომის და კოოპკომისიის წევრს მითხარით, სად მივიღო ორდერები ჩვენი თანამშრომლებისთვის!

რაღაც ნახევარ საათში მივიღე პასუხი.

პასუხი თითით. ერთი სიტყვით, სადღაც მეორე კუთხისკენ მიმითითა და მეორეს მიუბრუნდა.

გავყევი თითის მიმართულებას და მეორე რიგში ჩავდექი, მეორე თანამშრომლის მუშაობის გაჯანსაღებაში მონაწილეობის მისაღებათ.

რაღაც საათნახევარში მივაღწიე ამ კოოპმუშაკთან და ორდერების მიღების შესახებ გამართულ კამათის მაგივრათ მივიღე ამ ყმაწვილის ცერის მეორე მიმართულება.

— მიბრძანდით მესამე კუთხეში,— აშკარად ამბობდა ცერი.

წავედი მესამე მაგიდისკენ, საიდანაც ერთი საათის რიგის შემდეგ მიჩვენეს სალოკი თითი, რომლის მიხედვით მე უნდა წავესულიყავ მეოთხე კუთხისკენ.

ამ მეოთხე კუთხის ყმაწვილმაც არ დაიზარა თავისი კოოპერატიული თითის ჩვენება და მეც თითას სვლიგეზის მიხედვით გადავედი მეხუთე მუშაკისაკენ...

იქაც თითი... გადავედი მეექვსესთან: აქაც თითი... მეშვიდესთან: თითი...

არ მახსოვს რომელი იყო, მაგრამ უკანასკნელმა თითმა დიდ მაგიდასთან მიმიყვანა, სადაც ალბათ გამგე იჯდა.

რაღაც ერთი საათის შემდეგ მივიღე შემდეგი ამხანაგური პასუხი:

— რა გინდა, კაცო, შენ? რის ორდერები, რის თანამშრომლები! წადი ბიძია შენ და ორდერებს ჩვენ თითონ გამოვგზავნით. აჰ? რაო? ასეა ჰო! სად მცალია შენთვის!

ამხანაგურათ ბოდიში მოუხადე და 8 საათზე შესული 3-ზე გამოვედი გამანაწილებელი განყოფილებიდან, სადაც ჩემი სული და გული ასე გაინაწილეს კოოპმუშაკთა სალოკმა და სხვა თითებმა.

ტერსიტი.

„მიიღო რა მხედველობაში“

— შენ აკი უმაღლესი სასჯელი ათი წლითი იზოლიაციათ შეგიცვალეს! ასე მალე როგორ გამოდი გამსახლიდან?

— მალეა შე კაი კაცო? სამ თვეზე მეტი ვიჯექ ციხეში!

ᲖᲝᲝᲞᲐᲠᲙᲘ ᲐᲠ ᲒᲔᲒᲝᲜᲝᲗ, ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲔᲖᲝᲐ.

ᲡᲐᲡᲘᲫᲝ

(ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ)

ეფენია:—საღამო მშვიდობისა, ჩემო თეკლე.

თეკლე:—ღმერთმა გადღეგრძელოს ეფენია.

ეფენია:—რა შობი, ქალო, ი გოგო კადე არ გაგითხოვებია. გინდა დააბერო სახლში და ქვეყნის სასაცილო გახადო?

თეკლე:—რაფრად გავათხოვო, რო ცა არევინ მიკიდებს ხელს, გლახას არ მიყვება და კარგი არავინ თხოულობს.

ეფენია:—იჯინელს ხომ არ უნდა გაყვეს?

თეკლე:—არა, ქალო, იჯინელი მე თვითონ არ მინდა.

ეფენია:—მაშინ მიათხოვე პირველ მაღაზიაში რომ ნოქარია და შენ ბედს ძაღლი აღარ დაყეფს — არ მოგაკლებს, ჩემო ეფენია, არაფერს, რასაც კი ეტყვის კაცის ენა.

თეკლე:—ჰოდა, მეც მაგისთანა კაცს მინდა მივცეთ. ღმერთმა ნუ მომასწროს ის დღე, რომ ჩემ ეზოში სიძემ ფეხი შემოდგას და ის არა კოოპერაციის მოსამსახურე იყოს.

ეფენია:—ხოდა, მეც იმას გეუბნები, წრეულს დაჩებზე სხვები რომ ოჩერედებში იყვენ ჩამდგარი, ნოქრის ცოლები პირდაპირ კოოპერატივიდან გამოტანილ ფეხსაცმელებს და ჩითებს ცვლიდენ სურსათზე.

თეკლე:—მაგი მართალი აქნება ვითამ! მაგას რავა დავიჯერებ, ქალო.

ეფენია:— უიმე, ბეჩა ი ჩემი ორი შვილი ჩავაწყვე მიწაში თუ ტყუილს გეუბნებოდე.

თეკლე:—ეს კი არა, ქალო, ტერეზიას მოყოლილი გერის შვილის ცოლის ძმის შვილის ამხანაგი მსახურობს ოპერის კოოპერატივში და მაგენს მაინც ექნება სახლში 15 წყვილი მამაკაცის და დედაკაცის ფეხსაცმელი შენახული.

ეფენია:—ჰოდა, მოდი და ნუ ეძებ ნოქარს სიძეთ; ხუთი თვეა პირველ მაღაზიაზე ვარ მიწერილი და ერთი ორდერიც არ მერგო.

თეკლე:—ჩემო ეფენია, შენ ისე დამაინტერესე, რომ აუცილებლად ნოქარს უნდა მივცე ჩემი ნუციკო, თუ გინდა რომ მომთხოვოს მთელი ჩემი საცხოვრებელი.

ეფენია:— ხოდა მიეცი ნოქარს, რას წააგებ... რასაც მისცემ ერთ წელიწადს გაასწორებს, იმდენს გასარგებლებს და შენი შვილიც შეცურებული იქნება სიმდიდრეში.

ლალია.

„ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ“

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ

— სილიბისტრო, შამეახედე აქეთ ამ კაბინეტში. ტელეფონების საწყობი ხომ არ არის? რათ უნდა ამ ოჯაქორს ამდენი ტელეფონი?

— შე კაცო, რავა რათ უნდა! ერთი ტელეფონით თავისიანებს გამოიძახებს სახლიდან, მეორეთი — საქმეთა მართველს დეელაპარაკება, თუმცა მისი ოთახი აგერაა გვერდზე კაბინეტის ახლოს. მესამეთი შე კაცო... თუმცა მაგის კი რაღა მოგახსენო.

კი მარა ჩვენს კირის ქარხანაში ბარე ასამდე მუშა მუშაობს. სამი ვერსია დაშორებული ქალაქიდან. ამასწინეთ მუშა იყო უკანასკნელ დღეში. უტელეფონობის გამო ხელით წავიყვანეთ ქალაქში ავადმყოფი კაცი.

— ჰო, მაგის რა მოგახსენო; ალბად ქარხნის ადმინისტრაციას ხარჯთაღრიცხვაში არა აქვს გათვალისწინებული.

შაკო.

დაიღუპა ბღინძიაშვილი

(გადმოკეთებულია)

დღის ოთხი საათი იქნებოდა, როცა ცნობილი ბიუროკრატი ბღინძიაშვილი სამსახურიდან შინისაკენ გაემართა.

ბღინძიაშვილი არაჩვეულებრივად იყო მოქანცული. ხუმრობა საქმე ხომ არ არის, — მთელი ექვსი გაჭექილი საათი იჯდა კაბინეტში შირაქის კამეჩივით ჩასქელებულ თავ-კისერ-ჩაღუნული და ქაღალდებს ხელს აწერდა. თუმცა თვითონაც არ იცოდა ხელის მოსაწერ ქაღალდების შინაარსი, მაგრამ ხომ აწერდა! ესეც „საქმე“ იყო. დიაღ, არაჩვეულებრივად იყო ბღინძიაშვილი მოქანცული. მაგრამ დაღალვას „ჯვარი ეწეროს“, — მისი გრძნობიერება კუჭის საკითხმა დაიუფლა!

— მშია! მაჭამე, მაჭამე! მაჭამე შე გაბღენძილო! !— შესძახა იერიშით კუჭმა.

— სასადილოში შევივლი! — გაივლო გულში ბღინძიაშვილმა.

— რას მიირთმეით? — შეკითხა აფიციანტი.

— რაგუ და ერთი ბოთლი ლუდი! მხოლოდ ჩქარა მომიტანეთ! — მაგვიანდება!

— ეხლავე, ამხანაგო!

სასადილოს თანამშრომელი საჩქაროდ გაბრუნდა და სადღაც მიიმალა.

იცდის ბიუროკრატი ბღინძიაშვილი.

გავიდა ნახევარი საათი.

არაფერი ამოაქვთ.

საათიც გავიდა;—

არავინა სჩანს.

რომელი ერთი იტირის ბიუროკრატმა ბღინძიაშვილმა: — რაგუც დაიკარგა, ლუდიც, თანამშრომელიც და შიმშილისაგან ლამის გრძნობაც დაეკარგოს.

— ეი! სად წახვედით! მომიტანეთ საჭმელი! — დაიყვირა ბღინძიაშვილმა.

— რა გაყვირებთ, ამხანაგო?! ყვირილს თავი დაანებეთ და სანამ საჭმელს მოითხოვდეთ, შემოიტანეთ სასადილოში წერილობითი განცხადება. ჰო, კიდევ, საღერბო არ დაგავიწყდეს, მარკა დააკარით, თორემ უმარკოდ ვერ მივიღებთ თქვენს განცხადებას! — ირონიით უთხრა სასადილოს თანამშრომელმა, რომელმაც იცოდა ბიუროკრატ ბღინძიაშვილის ვინაობა.

ბღინძიაშვილმა სახე შეიჭმუხნა და დაცინვის საპასუხოთ მწყრალი და მედიდური გამომეტყველება მიიღო.

— რა გაკვირვებთ! მე თქვენ განცხადებას სალუქნე კომისიას გადავცემ, კომისია ადგილკომთან ითათბირებს, შემდეგ საკითხს რაიონის ორგანიზაცია განიხილავს, შემდეგ სამაზრო, შემდეგ მუშკოოპის ცენტრალური გამგეობა, შემდეგ ყრილობაც დაადასტურებს და შემდეგ სჭამეთ, რაც გინდათ, ჰა, მელანი და კალამტარი; ესეც ქაღალდი, დასწერეთ.

გაბრაზებული ბღინძიაშვილი სასადილოდან გარეთ გამოვარდა.

— ფუ! ლაზღანდარები! !— დაიძახა ბიუროკრატმა და ტრამვაის ვაგონს მოახტა.

— მომეცით ბილეთი!

— ჯერ შოგცემთ! — უპასუხა კონდუქტორმა.

— რატომ?

— ჯერ გადაბრძანდით პირველ გაჩერებისათანავე, შეავსეთ ანკეტა, წადით შინ, დაამოწმებინეთ სახლის კომენდანტს, შემდეგ მობრძანდით და ბილეთსაც მიიღებთ.

ბიუროკრატი ბღინძიაშვილი გაქანებულ ვაგონიდან გადმოხტა. გადმოხტომის დროს შუა ქუჩაში საცოდავად გაიშხლართა, მაგრამ არ შეიმჩინა, წამოხტა და შინისაკენ გაექანა.

ეგზავრებმა სიცილი დააყარეს.

— ჩქარა სადილი ! შიმშილით გულის ფრიალი მაქვს ატეხილი! მიშველე! — მიმართა მეუღლეს შინ მისვლისთანავე.

— ხვალ შემოიარეთ! — უპასუხა გულცივად ცოლმა და მეორე ოთახში გასასვლელად მოემზადა.

— როგორ „ხვალ?“ — დაიყვირა ბღინძიაშვილმა.

— მიმართეთ მდივანს, ამხანაგო!

— უთხრა ბავშმა.

ბღინძიაშვილი აქვითინდა.

— რას მერჩიან? ვის რა დავუშავე, რომ ყველა ამიხირდა? — ფიქრობდა ის.

მეორე ხმა კი ჩასძახოდა:

— ანკეტა შეავსეთ? განცხადება დაწერეთ? მარკა დააკარით? რეგისტრაციაში გაატარეთ? გაქვთ სხვა მოწმობებიც? გაქვთ თუნდ მოწმობა იმისა, რომ თქვენ არა ხართ რაიმე პირუტყვი, არამედ ხართ ჩვეულებრივი სრულ უფლებიანი მოქალაქე და ადამიანი?

ბღინძიაშვილმა მოიგონა, რომ მას არც ერთი ასეთი მოწმობათაგანი არ გააჩნდა. ბრაზით დამბლა დაეცა, სუნთქვა შეეკრა იატაკზე დავარდა და მოკვდა.

რა ვუყოთ აწი ბიუროკრატ ბღინძიაშვილს „ტარტაროზის“ პატივცემულო მეკითხველებო? დავმარხოთ თუ სახლში ავაყროლოთ?

მოწმობები რომ არ გააჩნია?

დავმარხოთ, დავმარხოთ! სულ ერთია, საიქიოდან გამოგვიგზავნის!

ბედუჯა.

— რაც უნდა გამწმინდონ, მე რომ ჩვენი კოოპერატივი გავწმინდე, ისევ მაინც ვერ გამწმენდენ!

ბოლოს გაიგებ!

მასწავლებელი: — აბა, ილიკო, მითხარი როდის დაარსდა ამიერ-კავკასია?

მოწაფე:—ამიერ-კავკასია დაარსდა 1762 წელს.

მასწავლებელი—(არაზი მოსდის. მივა ახლოს და თვალებს დაუბრიალებს) შენ ნამდვილად გიჟი ხარ. როგორ შეიძლება, რომ 168 წლის წინად ამიერ-კავკასია ყოფილიყო?

მოწაფე:—(ღიმილით) ბოლოს გაიგებთ!

მასწავლებელი:—თუ შენი სიტყვა მართალია, ეხლავე გავიგებთ, აბა მითხარი, როდის გაიყვანეს რკინის გზა ამიერ-კავკასიაში?

მოწაფე (იცინის)—ამიერ-კავკასიაში რკინის გზა მასწავლებელო გაიყვანეს 1768 წელს (იცინის).

მასწავლებელი: — ნუ გამაგიჟე, რას როტავ?

მოწაფე (სიცილით):—სიმართლეს მოგახსენებ მასწავლებელო.

მასწავლებელი:—აბა კარგად დაფიქრდი რა სისულელეს ამბობ. სად იყო 1768 წელს რკინის გზის ხსენება. არა თუ ჩვენში, რუსეთშიაც არ იყო რკინის გზა. ჩვენში ჩარდახიანი ურმებით მოგზაურობდენ და ჩალვადრებით გადაქონ-გადმოქონდათ საქონელი.

მოწაფე: —ბოლოს გაიგებთ.

მასწავლებელი: **რა** უნდა გავიგო. განა გაგონილა ასეთი სისულელეს წამოროშვა?

მოწაფე:—ამხანაგო მასწავლებელო, ერთი ეს მითხარით—როდის მოხდა ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პირველი ყრილობა?

მასწავლებელი (შეკრთება. არ ახსოვს. გაწითლდება და დადის): ეშმაკმა იცის, მაგათი ყრილობა, მე რა ვიცი როდის მოხდა. როგორც მახსოვს ვგონებ 1905 წელს, ნოემბერში...

მოწაფე:—არა, ტყუილია.

მასწავლებელი: — აბა თქვენ ბრძანეთ—როდის?

მოწაფე: ამიერ-კავკასიის რკინის გზელთა პირველი ყრილობა მოხდა 1770 წ.

მასწავლებელი: (გულიანად იცინის):—კიდევ ერთი სისულელე, ბიჭო, როგორ მოხდებოდა რკინისგზელთა ყრილობა, როდესაც მაშინ რკინის გზის ხსენებაც არ იყო?

მოწაფე—მე თქვენ დაგიმტკიცებთ, რომ ეს მართალია.

მასწავლებელი:—აბა ბრძანეთ!

მოწაფე (ღიმილით თითს გაიშვერს კედელზე ჩამოკიდებულ სახელგამის და შრომას გამოცემულ კედლის კალენდარისაკენ):—ამხანაგო მასწავლებელო, წაიკითხეთ იქ რა სწერია: (მივა და ხმა მაღლა კითხულობს:)

1930 აგვისტო რევოლიუციის მე-XIII წელი

31 დღე

მზე ამოდის 5—18
მზე ჩადის 18—43

27

ლუნის სიდიდე 13—25
მთვარე 4 დღის

ოთხშაბათი

1770 წ.—ა/კ. რკინისგზელთა I ყრილობა.

„აგვისტოს 27, 1770 წელს ამიერ-კავკ. რკინისგზელთა პირველი ყრილობა“.

მასწავლებელი: (გაოცებული)!—ამას რას ვხედავ! ეს რა მესმის? ასეთი უვიცობა განა გაგონილა?

მოწაფე (სიცილით)! ხომ გაიგეთ. კალენდარმა უფრო მეტი იცის, ვიდრე ჩვენ. მე ასე ვივარაუდე—1768 წელს დამთავრდა რკინის გზის გაყვანა ამიერ-კავკასიაში და ორი წლის შემდეგ, ე. ი. 1770 წელს მოხდა რკინისგზელთა პირველი ყრილობა.

მახათი.

იგივეობა

(ს. კელმეჩური, კახეთი)

— **დედი, პირჯვარს რად იწერ?! ეს თეატრია და არა ეკლესია!**

— **მე კი ისევ ეკლესია მეგონა, შვილო, მაგ შენობას თეატრის არაფერი ემჩნევა.**

ქუთათური რაციონალიზაცია

ვერ ნახავთ ქუთაისში ისეთ დიდ დაწესებულებას, რომელსაც რამდენჯერმე არ გამოეცვალოს თავისი ბინა, რაც იწვევს აუარებელ უთავბოლო ხარჯებს.

მუშკორი.



გლეხებში:—მთელი წელიწადია რაც დაგეძებთ და ვერ მიგაგენით; ახლა კაბაში მაინც მიიღეთ ჩვენი განცხადება.

„დაბადება“ ანუ „ბიბლია“

ნაწილი მეორე

შესავალი

მსურს მკითხველის წინ მოვიხადო ვალი,—
რისიც დაპირება მე მას მივეცი,—
სიტყვის შესრულება პირნათლათ ვიცი.

როცა მექნებოდა თავისუფალი დრო,
უფალი ხელში უნდა ჩამეგდო
და ყოველივე მომეგონებია,
რაც ცოდვები მას წინეთ ჰქონებია.
ეს დაპირება მკითხველის წინ მაშინ ვითავე,
პირველი ნაწილის წერა როცა მე გავათავე.
ეხლა ვასრულებ მე დაქადებას:
ხელი მოვკიდე კვლავ „დაბადებას“.
რადგან პირადათ მე ღმერთს არ ვიცნობ,—
არსებობასაც მისას არა ვსცნობ,—
მის მაგიერათ,
გულის საჯერათ,
უზარმაზარი წიგნი „ბიბლია“,
ანუ „დაბადება“,
მე წინ მიგდია,
სადაც მისი ქება უხვად სწერია, —
რაც ბრიყვებისთვის დასაჯერია!
ღმერთსავით მავნე კიდევ პიროვნება,
ქვეყნად მეორე არსად იპოება!—
ვამტკიცებ ამას თავგამოდებით,—
თქვენ თუ არ გჯერათ—ძალიან სცდებით!
— დაანაწილე და იმეუფე!—
ამბობდა, თითქოს, რომაელთ მეფე.
მაგრამ კეისარზე ადრე ეს მცნება,
ეტყობა, ღმერთმა კარგათ იცოდა!
დასთესდა ქვეყნათ ის ათას ჭორებს,
ხალხს წაჰკიდებდა ერთი მეორეს.
მამა და შვილს შორის ჩააგდებდა შუღლს,
ძმები ერთმანეთს გაუტეხდენ შუბლს!
მეზობლებს შორის ატყდებოდა დავა.
ასე საქმე წაღმა აბა როგორ წავა?!
ქვეყნათ მრავალი იყვენ ერები,
მან აირჩია ებრაელები,
მარა იმათაც ვერ მოუარა,—
გჯერათ თუ არა!..
ეს დახმარებაც ვერ აღმოუჩინა:
ერთი ადგილი მათ ვერ მიუჩინა,—
გასამრავლებლათ და საცხოვრებლათ.
ასეთი ღმერთი გამოდგება რათ?
დასაცინათ და ყბად ასაღებად,—
მეტად არაფრად!
ამიტომ მე და ბედნი დემიანი,—
ეს ორი დინჯი ადამიანი
დიდი ხანია ღმერთს გადვუდექით,
და მას კრიჭაში ისე ჩაუდექით,
რომ მოსვენებას აღარც კი ვაძლევთ.
ვნახოთ, იგი ჩვენ, თუ ჩვენ მას დავძლევთ!..

⁂

მხოლოთ, უკაცრავად, რა უნდა გკითხოთ:
პირველი ნაწილი თქვენ წაიკითხეთ?
მაშ უბრალოთ ნუ შეიწუხებთ თავს,
თუ ჯერ პირველი არ წაგიკითხავთ!
სულერთია, აქ ვერას გაიგებთ,—
უბრალოთ შრომას რატომ გაიღებთ!..
წიგნის მაღაზიას ეხლავ მიაშურეთ,—
ათშაურიანს თუ არ დაიშურებთ,—
და იქ შეიძინეთ,
გამოცემული წიგნი ამას წინათ:
„დაბადება“ ანუ „ბიბლია“
ყდაზე გარკვევით აღბეჭდილია.
იქვე იკითხეთ „ახალი აღთქმა“.
მას არ უნდა თქმა,—
როცა ამ წიგნებს თქვენ წაიკითხავთ,—
სხვა ნაწერებსაც ჩემსას იკითხავთ...

თავი მეათე

წინეთ მე რაც ვთქვი,
იმის გაგრძელება.
ვფიქრობ წაკითხვა არ გაგიძნელდებათ.

იაკობს ლიასაგან ყავდა ქალი დინა.
გოგომ ერთხელ ურცხვი საქმე ჩაიდინა:
სურდა ენახა მეზობლის ქალები,
ვიდაც გამვლელზე დარჩა მას თვალები
მგზავრი შეცდომას დიდს დაუშვებდა,
ასეთ შემთხვევას თუ გაუშვებდა.
ქალი გზის პირას გადაიყვანა,
საგებათ ჰქონდა მობიბინე ყანა!
მაგრამ ამ ქალის ნამუსის ახდა,
დიდი სადაო საკითხი გახდა.
მგზავრი ყოფილიყო მთავრის შვილი, სქემ
დინას უმატა მუცელის სისქემ!
ძმებმა როდესაც შეამჩნიეს ეს,
შეურაცყოფა იუკადრისეს.
სქემს წარუდგინეს მოთხოვნილება,
გადაეხადა მას ქორწინება.
მაგრამ ამისთვის საჭირო იყო,
რომ სქემის გვარი იმათ სჯულზე გადასულიყო!
თუმც ამ პირობას დასთანხმდა ყველა,
მაგრამ საქმეს ამან ვერა უშველა:
წინადაცვეთის მესამე დილით,
როცა თავს გრძნობდენ ცუდათ ტკივილით,
გათენებამდე ადრიან, ბნელით,
იაკობის შვილები მოულოდნელათ
სასიძოს ქალაქს დაესხენ თავზე,—
შიგ არ დასტოვეს მთელი ქვა ქვაზე!
ნადავლი ყველას ბლომათ წილათ ხვდა.
მაგრამ უფალი იაკობს წინ შეხვდა
და გააფრთხილა:
—იყავი ფრთხილად!
ბოროტ ისეთი დღე დაგადგება,

რომ ჩემი შველა ვერ წაგადგება!
წადი აქედან ჩქარა, გაიპარე,
სადმე სხვა ქვეყანას თავი შეაფარე!".
  კარგათ დაუკვირდით,—საქმეა რაში?
ღმერთი თვით გამოტყდა უძლურებაში!
ასეთ ბებრუხანას,
როგორ მიანდობდა კაცი ამ ქვეყანას?!
  მეტი ჩარა აბა რაღა იქნებოდა,
იაკობი აქედან თუ არ გაჭრებოდა!
რჩევა დაიჯერა მან ეს კეთილი,
და გადასახლდა, სადაც ეთქვა ადგილს ბეთილი.

*
**

  რუბენი ყოფილა მისი პირმშო შვილი.
მამას მან აკამა უზომო სირცხვილი:
ლოგინში შეუწვა დედინაცვალს, ბალლას
კინაღამ შეემთხვა ამით ხათაბალას!..

*
**

  იაკობს სულ ჰყოლია თორმეტი შვილები
ყველა საკუთარი,—არა ნაშვილები.
უმცროსი ვაჟი მისი, იოსები,
ლამაზი იყო გასაოცები.
კიდევ ღირსება მისი იყო ის,—
ახსნა იცოდა ყოველი სიზმრის.
  ეს შვილი მამას უფრო უყვარდა
სხვებზე სათუთათ იმას უარდა
არ მოსწონდათ ეს,
რა თქმა უნდა, სხვებს!
  გულის მაგიერ თითქოს ედოთ ქვა,—
ისეთი იყო ძმათა განზრახვა:
  ერთხელ, მინდვრათ რომ აძოვებდენ ჯოგს,
ჰქონდათ თათბირი,—თუ როგორა სჯობს:
მოჰკლან, თუ ცოცხლათ ჩაფლან ორმოში,—
ვერ აერჩიათ ერთი ამ ორში.
  ამ დროს გამოჩნდა გზაში მიმავალი
უცხო ვაჭრების დიდი ქარავანი.
ოც ოქროს ფასათ ძმა მიჰყიდეს ისმაიტელებს,—
არ გაისვრიდენ, ამნაირად, მის სისხლში ხელებს!
(ადამიანის ფასი შემდეგ უფრო გაძვირდა:
იუდამ ქრისტე ხომ ოცდა ათ ოქროთ გაჰყიდა!).
მამას კი ნიშნათ გაუგზავნეს სისხლში ამოსვრილი,
თითქოს მხეცისგან დაფლეთილი, შვილის სამოსელი.
  ისმაიტელები არ ყოფილან დიდი ვაჭრები'
მათ არ მიჰქონდათ გასაყიდათ ფარჩის ნაჭრები;
იმათ საქონელს შეადგენდა კევი და კვარი,
რაც დღეს ბაზარზე ჰაშნიკათაც აღარსად არი!
ფულს მოიგდებდენ ერთი ათად ისინი ტყვეში,
გასაყიდათ რომ ჩაიყვანდენ მას ეგვიპტეში.

*
**

  შვილის დაკარგვით იაკობი ჰგავდა გადარეულს.
ვაჭრებმა მიჰყიდეს ისოსები მეფის მზარეულს.
რადგან ის იყო გამრჯე, ერთგული.
ჩქარა მოიგო პატრონის გული,
რომელმაც მას ეს იმით ანიშნა,
რომ მოურავათ იგი დანიშნა,
  მარა საქმეში ჩაერია ქალი:
ქალბატონს ეჭირა ლამაზ ბიჭზე თვალი,
და ერთხელ, როცა დრო მან იხელთა,
ჩამოახია სამოსლის კალთა!
  არის თუ არა ღირსი ის ქების,
რომ არ ინდომა პატრონისთვის გამობმა რქების?
  ისეთ ყმაწვილ კაცს სად ნახავთ ეხლა,
სხვისი ცოლისთვის ხელი არ ეხლოს?
  იოსებმაც მიტომ ჭკუა წაიგო,
რომ ქალის ხვეწნაზე ხახა დაიღო!

  გაწბილებული ქალი დაეჭადა
ჩქარა კიდევაც გადაუხადა:
ქმარი უკულმა მან შეასმინა,—
თითქოს იოსებმა ის შეარცხვინა!
  პატრონმა საქმე არც კი გასაჯა,
იოსები მკაცრათ ისე დასაჯა.
  მაგრამ „ბიბლია" ვისაც შეაქებს,
ასეთ კაცს ცუდათ ხელს ვინ შეახებს!
მიტომ არ არის გასაკვირველი,
ტუსაღებ შორის რომ შეიქნა იოსებ პირველი!
  აქ მან განაგრძო, ჩვეულებრივ სიზმრების ახსნა,
სატუსაღოდან ამით შემდეგ მან თავი იხსნა.

*
**

  ციხეში ისხდენ ფარაონის კარის კაცები.
მათ ხაზინიდან ფული ჰქონდათ განატაცები.
ერთ მათგანს ედო ამ საქმეში მართლადაც წილი,
სჩანდა, მეორეს სულ უბრალოდ დასწამეს ცილი.
  ცოლ-შვილის ნახვა ალალ-მართალს ენატრებოდა;
ბრალიანს მუდამ საღრჩობელა ელანდებოდა.
ძილში შესაფერს, რა თქმა უნდა, სიზმრებს ხედავდენ,
რის შემდეგ მსხვერპლათ შესაწირავ ზვარაკებს ჰგავდენ!
  დამახშავებ რომ ერთხელ ძილში სიზმარი ნახა,
იმის შედეგად იოსებმა ეს უკარნახა:
  — „ყური დამიგდე!
გაიელის, ალბად, რამდენიმე დღე,—
მოაშორებენ შენს თავს კისერზე,
ჩამოჰკიდებენ მაღალ მესერზე!
ტკენს დაუწყებენ ჩიტები კენკას,—
სამაგალითოთ რომ ექნე შენ სხვას!"
  ალალ-მართალმაც ნახა სიზმარი,
(ამაზე ადვილი ძილში რაღა არი!)
მის ასახსნელად ამ ტუსაღმაც იოსებს მიმართა,
რომელმაც ქრთამის ასაღებად ენა მომართა.
  უთხრა:—„ამ სიზმარს ხელათ აგიხსნი;
თუ შენ აქედან მე გამომიხსნი!
თქმა არ უნდა მას,—შენ იქნები თავისუფალი!
დაგიბრუნდება წარჩინება, ადგილი, ფული!
როს ძველებურად სასახლეში ცხოვრება იწყო
მაშინ გახსოვდე, არ დამივიწყო!"
  ტუსაღების ბოლო რომ ეს იქნებოდა,
უსიხროთაც ეს წინეთ ითქმებოდა!
  რაოდენიმე დრო გავიდა მართლა,—
სიზმრები სწორეთ ასე გამართლდა:
პირველს კისერზე თავი არ ება,
მეორე სახლში დროს ატარებდა!
  მაგრამ ბუნება ისეთია ყოველი კაცის,
რომ დავიწყება წარსულ ტანჯვის ადგილად იქცეს
  ჩვენ შორის არის დღეს თელი წყება,
ასეთნაირი გულმავიწყები!
არ აგონდება ბევრ მათგანს კარგად,
ცოტა ხნის წინათ თუ რა დღე ადგათ!
სოციალიზმი,—ასი პროცენტი,
არ უნდა აკლდეს ერთი ხაბაკი,—
დაუღებე და მიე ხახაში,
თორეც ამოჰყოფს თავს ერთ განზრაში!
მარცხნით ხრამში თუ არ გადიჩეხება,
წაბარბაცებს მარჯვნით ფეხები!..
  ორი წელიწადი თითქმის გავიდა,
რაც კარისკაცი სახლში წავიდა,
მარა ამ ხანში,
ეკითხელ არ მოსვლია აზრათ მას თავში
რომ ციხეში ზის მისი მეგობარი,
რომლის წინაშე მოვალე ის არი.

ს. თ—ია.

(გაგრძელება იქნება).

„ბედნიერი დღე“

ხ. საჭაჭიასერი (ბურია).

— რა ამბავია, რომ ყველა ალმასკომისკენ გარბიხართ?
— თავშეყდომარე დღეს ფხიზელი ყოფილა და ეგებ საქმე გაგვიკეთოს!
(ჯიუტი).

კითხვა-პასუხი

დი-...-ჯიხაიში

მე:—მობილიზაციის და ბინის 500 მანეთი, რომელიც უკანონოდ მიიღეთ, სარევაზიო კომისიის მითითების შემდეგ დაჰფარავ თუ არა?

გუგუაშვილი (კოოპერატივის გამგე):—არ დამიფარავს და არც ვფიქრობ დაფარვას, შეჭმული ფულის დაფარვა ვის გაუგონია?

— თავისთვის 50 პროცენტით ჯამაგირის მომატება ადგილობრივ ორგანოს თუ შეუთანხმეთ?

— ადგილობრივ ორგანოს მე არაფერს ვეკითხები.

— კვირაში რამდენ დღეს მუშაობ დაწესებულებაში?

— გარდა ოთხშაბათისა, სამშაბათის, ოთხშაბათის, ხუთშაბათის, პარასკევის, შაბათის და კვირისა ყოველდღე.

— მიღებულ საქონელს როგორ ანაწილებ?

— ძალიან კარგად. დიფიციტიანი საქონელი: მიტკალი, შალეულობა, შაქარი, საპონი და სხვა ჩვენივე თანამშრომლებზე ნაწილდება. დანარჩენი კი— სხვებზე.

— სასადილოს გამგე მომხმარებლებს ხურდას არ უბრუნებსო. მართალია ეს თუ არა?

— მომხმარებელთ ხურდა, ან ქერათ უნდათ! ხურდა ფული ჩვენ გვჭირდება.

სამთვალა.

„ჩუსტები“

ჭუთაისი

ფილიპე: — ამხანაგო ნორა, სად იყავი?

ნორა: — დედათა და ბავშთა კოოპერატივში; ჩუსტი მინდოდა მეყიდა.

ფილიპე: — არ მოგცეს?

ნორა: — განცხადება გაუკრავთ: თუ ხარ ორსულად, მოგეცემათ ჩუსტიო.

ფილიპე: — მერე რა ქენი?

ნორა: — რა შეკითხვაა, ჩუსტიზა მაგ საქმეს როგორ ვიზამ!

დათიკო: — ნორა, ჩემ მაგიდას ფეხი რამ მოტეხა?

ნორა: — შენ დალოცვილო, ამდენ თრევაში მაგიდა კი არა, „ფეილა“ ორთქლმავალი დაიმსხვრევოდა. შეხ ეს მითხარი, ტეხნიკი რობაქიძე არ გინახავს?

დათიკო: — იმას შენ ნახავ! ჩვენ ალმასკომივით სად არ დაეხეტება!

ტივი

სიზმრის ახსნა

(ჰიათურა)

ვინაიდან სახელგამს განუსაზღვრელ დროისათვის გადაუდვია სიზმრის ახსნის წიგნის გამოცემა, ამიტომ ჰიათურაში შესდგა ჯგუფი, რომელმაც გამოჰყო ბიურო. ბინის კრიზისის გამო განზრახულია ბიურო დროებით მოთავსდეს შავი ქვის ტრესტის საგეგმო - საეკონომიო განყოფილებაში თუ, რასაკვირველია, ამაზე ნებართვა ბიუროს მიიღო ამ განყოფილებაში უფროსობაზე მოცილე ეკონომისტ გრიგ ყუფარიძესა და ჯერ კიდევ ქვალფიკაცია გაურკვეველ სტეფანე ტურიანისაგან. (ტრესტის მართველობას ჯერ კიდევ ვერ გაურჩევია - სტეფანე ტურიანია უფროსი თუ გრ. ყუფარიძე, რის გამო ყოველ ცისმარა დღეს დაუსრულებელი დისკუსია აქვთ გამართული, რაც ხშირად მუშტ - კრივამდე მიდის).

ჯერჯერობით ბიურო იწყებს სიზმრის ახსნას ზოგადად ალფაბეტის მიხედვით:

აბასაძე ბიკენტი (ტრესტის იურისტ - კონსულტი) ნახო სიზმარში, აუცილებლად კრებაზე ვინმე სასაცილოდ აგიგდებს და მისი შერიგება შენვე 22 მანეთი დაგიჯდება.

აბაშიძე დიმიტრი ნახოთ - ძალიან ცუდია, უპროტექციოთ სამსახურში არ მიგიღებენ.

ახვლედიანი დათიკო (გრუზგოსტორგის გამგე) ნახოთ — გაკეთდებით კაცი, პორტფელში ასი მანეთი გვერდებიდან შეგემატებათ.

ანტონ ტუსკია (ტრესტის მთავარი ბუღალტერი) ნახოთ — ვაი შენი ბრალი, იჭ... რტებს ელოდე, ბოროტმოქმედებას ამოგიჩენენ და გამსახლში ამოგაყოფიებენ თავს.

აზარტული თამაში: ნარდის, კარტის და სხვა ნახოთ, — შავ დაფაზე მოხვდებით (კეშელავასავით).

ბუღალტერია (ჰიათურის მუშკოოპის) ნახოთ — არ ვარგა, ყოველ საქმე ექვსი თვით ჩამოგრჩება.

„ახალგაზრდა“.

ახალგაზრდა მხატვართა გვერდი

პატიოსანი მოსადილე



— კიდევ კარგი, რომ გამძღარი მოვედი სადილისათვის... ვიჯდომები ახე პატიოსნად და ვნახოთ როდის მომაქცევენ ყურადღებას.

ქუთაისის „კარუსელი"

— ტყუილია, რომ ამბობენ —თავადებს ყველაფერი ჩამოართვესო. ამ ჩვენს კოპეინია მიქელაძეს რამდენი ცხენები შეუძენია, ყველას აქირავებს და ჯიბეს იქსელებს. კი ჰმართებს ტრაბახი —ჭამაც ვიცი და ფულის შოვნაც.

ნამდვილი ამბავი

— ჩვენმა გამწმენდმა კომისიამ არც მწვადი დასწვა და არც შამფური: ჯერ გასწმინდა და შემდეგ უკანვე მიიღო ყველა სამსახურში!



ჩვეულებრივი მოვლენა ფოთის სტადიონზე

—სახლს ცეცხლი გაუჩნდა! თავს უშველე!
— ნუ გეშინია, სახლიცა და მეც ორივე დაზღვეული ვარო.

— ოატომ ფეხზე დგებართ ამდენანს? ჯერ ჩაში და დაჯექით!
— როგორ დავჯდე, როცა ახალ-გაუთიებული შარვალი მაცვია, დათეთუნება!

სოფ. მარტყოფის ფოსტაში



— რედაქციაში იგზავნება; ალბად ჩვენს შესახებ იქნება; გავხსნათ და ვნახოთ — გასაგზავნია თუ არა?

— თქვენი ჯეკი მოვიდა და...
— არა მცალია, ორი დღის შემდეგ შემოიაროს!

რადიო დეპეშები

„ნ წლედი“ შესრულდა

ს. წევა (ზესტაფონი). აღმასკომის განკარგულებით დაიხურა ადგილობრივი ქოხ-სამკითხველო, რომელიც 1925 წლიდან არსებობდა.

— ამ ხნის (-925-30 წ.) განმავლობაში ალბად ყველა განვითარდებოდა, ნასწავლი გახდებოდა და რაღა საჭიროა სამკითხველო, — ამბობს აღმასკომი.

ხო—ჯა.

პირიქით მოხდა

შემოქმედი (გურია). ვინაიდან კერძო ვაჭრების: კოწო ერქომაიშვილის და ჩიტაიშვილის იმედი არ გამართლდა, რომ — „კოოპერაციავი გაკოტრდება და საქონელი ჩვენთან მოვა“-ო, — ამიტომ თვითონ ისინი გადაბარგდენ კოოპერატივში ნოქრებად:

— თუ მთა არ მივა მაჰმადთან, მაშინ მაჰმადი მივა მთასთანო! ამბობენ ისინი და გულში ჩუმად ღიღინებენ.

ძირს გავუთხრით კოოპერატივს,
არ დავაკლებთ ჩვენს თავს პატივს.

თუ კი თქვენ გაიგონეთ მათი ჩუმი ღიღინი, (რასაკვირველია!) გამგეობას ყურში ბამბა ხომ არა აქვს?

გუსინი.

სასწაული.

ეწერი. (გურია). გუშინ აღმასკომში თვალი მოჰკრეს თავმჯდომარესა და მდივანს. როცა გლეხები აღმასკომში მივიდენ, ისე უკვე აღარ იყვენ. ამბობენ: ზღაპრული უხილავი ზეწარი აქვთ: ისე გაიპარებიან, რომ ვერავინ დაინახავსო.

ეწრელი კოლო.

უგელური შემთხვევა

ქუთაისი. დღეს მუშკოოპის პირველ სასადილოში რომანიულ ნიადაგზე ადულებულ ბორშჩით სავსე ქვაბში თავი დაიხრჩო ოთხმოცმა ბუზმა და ოცმა ტარაკანმა. დასაფლავება მოხდა მოსადილეთა კერძში. ამ ტრაგიკულ შემთხვევის გამო სწარმოებს კვლევა-ძიება.

შაკო.

ბრძოლა უმუშევრობასთან

ქუთაისი. მედროგეებსა და მეეტლებს შორის უმუშევრობის მოსასპობად, აღმასკომმა დაადგინა: ყოველ თვეში ორჯერ გამოიცვალოს ბინა. ეთხოვოს ზოგიერთ დაწესებულებებს, — ისინიც ასე მოიქცენ. აღმასკომის წინადადებამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ბაზარზე აღარ იშოვება თავისუფალი ეტლი.

კო—დი.

რეცენზია

ს. რგანი (ჭიათურა). წარმოდგენის დასრულების შემდეგ ხალხმა ოვაციები გაუმართა მოკარნახეს, რომელმაც ხმა მაღლა წაიკითხა თავის „ბუტკაში“ მთელი პიესა. წარმოდგენის შემდეგ გამოეცხადათ სცენაზე ჩამოძინებულ მოთამაშე მსახიობებს, რომლებიც პირის დაბანისა და გამოფხიზლების შემდეგ შეუდგენ მათ მიერ გათამაშებულ პიესის როლების შესწავლას.

ლე—ლი.

დროის შერჩევა

სურამი. სადგურის „ზაკტპოს“ ფარდულის გამგე ამით აცხადებს ძმა-ბიჭებისა და ნაცნობების საყურადღებოთ, რომ ისეთ დროს მოვიდენ დეფიციტიან საქონლის მისაღებად, როცა გარეშე (ე. ი. მომზმარებლები) არ იქნებიან ფარდულში. წინაალმდეგ შემთხვევაში მას საშუალება არ ექნება მიღებული სქონელი მათზე გაანაწილოს.

მედგარი.

„შუამდგომლობა“

ოზურგეთი. რაიონის აღმასკომს განზრახული აქვს თავის ერთ-ერთ სხდომაზე დაადგინოს შემდეგი: „ეთხოვოს მდინარე ნატანებს, — შემოდგომის მოსალოდნელ წვიმების დროს ნუ გადიდდება და ნუ გადმოლახავს ნაპირებს სოფლების გასანადგურებლად, როგორც ეს მას სჩვევია. დამბების გასაკეთებლად მომცეს ვადა ხუთწლედის დასრულებამდე“.

როგორც ამბობენ, — მდ. ნატანები „იცინის, იცინის, კვდება სიცილითა“.

დაცხე.

საიდუმლო კრება

1930 წ. 24 აგვისტოს საღამოს 9 საათზე შესდგა ქ. ქუთაისში მცხოვრებ ნ. ედიბერიძის ოჯახის წევრთა დახურული კრება, რომელზედაც ვრცელი მოხსენებით გამოვიდა თვითონ ნ. ედიბერიძე.

— ჩემო ცოლ-შვილო, — დაიწყო, მომხსენებელმა, — მოგეხსენებათ, რომ გასაბჭოებამდე ძლიერ მდიდარი ვიყავ: მქონდა ორი-სამი აგურ-კრამიტის ქარხანა, სათესი მიწები და კარგი სახლკარი. ერთი წიტყვით ცხონებულ ნიკოლოზისა და ან განსვენებულ მენშევიკების დროს მდიდრულად ვცხოვრობდი და ოქროებში ვურევდი ხელებს.

მეგონა — სულ ასე წაღმა იტრიალებდა ცხოვრების ჩარხი, მაგრამ, მოგეხსენებათ, მოხდა გადატრიალება და ჩემი ცხოვრებაც გადატრიალდა, ბოლშევიკებმა გადასახადებით ისე გამომსანსლეს ამდენი თავნაკლავი, რომ ჯუდის რიკამდე აღარ შემრჩენია ტყავი. შავ სიაშიც გამომაცხადეს. ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელო, მიწასთან გამასწორეს. გულის მოსაფხანად დავიწყე მათი გინება... ერთ მშვენიერ დღეს თავი გამსახლში ამომაყოფინეს.

ამის შემდეგ ჭკუაზე მოვედი. საჭირო იყო დიპლომატობა და მელას პოლიტიკა. გადვიცვი ცხვრის ქურქი და შევეკვერი არტელში. ხარ-კამეჩს მოჯამაგირე ამუშავებს (რაც დაუშვებელია არტელის წევრისათვის), მაგრამ არა უშავს რა—შემოსავალი ჩემია. ხანდახან ჩემს მაგიერ დაქირავებულ კაცსაც ვამუშავებ, მაგრამ ჯერ-ჯერობით საყვედური არავის უთქვამს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენს არტელში ჩემისთანები ბევრია. ალბად ამას მიეწერება ის, რომ ჩვენი არტელის პროდუქცია დაბალი ხარისხის არის, მაგრამ მოთხოვნილება დიდია და ვასაღებთ.

აი ასეთია ჩვენი მდგომარეობა, თანდათანობით წინ მივდივართ და... ეჰ, ვინ იცის.. ეგებ.... მაგრამ ამაზე არ ღირს ლაპარაკი! — და მომხსენებელი დაჯდა.

ოთახში გაისმა ტაში და „ოდელიას“ სიმღერა.

გოჭოურის თაველი

რუსული იუმორი

— ამხ. გამგე, ამ ბოლო დროს რატომ წაახდინეთ საუმელი?

— თქვენ გაზეთებს არ კითხულობთ?! წითელ სასადილოების გამოკვლევა დიდიხანია დასრულდა!

—სიიაფეა ამ სასადილოში: მთელი დღეა აქ ვზივარ და დავხარჯე ათი შაური.

— როგორ?!

— როგორ და, მთელი დღეა ველოდები ბორშის შემდეგ ხელარე კერძს, და ჯერ კიდევ არა სჩანს!



აპარატის წმენდა და პროტექტორის ხელი.

შეშის დამამზადებელ განყოფილების გამგე.

— შენ ყალბი პარტიული ბილეთი გაქვს, ერთი წარწერა აკლია!

— რომელი წარწერა?

— „გაუქმებულია“.

— თქვენ ცენტრიდან ხართ ჩვენთან სამუშაოთ ჩამოსული? აი, ეს ანკეტა უნდა შეავსოთ, ცენტრიდან არის გამოგზავნილი!

მ. ბარბელში

— საინტერესო წერილია რკინის გზებზე უწესრიგობის შესახებ; კატასტროფამდე მოვასწროთ წაკითხვა!

„შემაერთე ხრეითს“

(ხრეითი, ჭიათურა)

ხრეითია? ვინა ხარ ტელეფონთან? დარაჯი? დაძალაბარაკე დათიკოს, ვინ დათიკოს და საბჭოს თავმჯდომარეს.

რაო? საქეიფოდ არის წასული? რა დროს ქეიფობაა, კაცო? ეხლა კი არა, სულ საქეიფოდ დადისო! კარგად ჰქონია ძმაო, საქმე! ვისთან? ყოფილ ხალხთან! მერე და ნეტა რისთვნაო? გლეხებთან მაინც ექეიფებია მაგ ოჯახქორს!

აზნაურებში უფრო ემარჯვება? იქ ლამაზი ქალებიც მეტიაო! მერე და ასე სისტემატიურად თუ ქეიფობს და ქალებსაც ეარშიყება, არავინ არ იღებს ხმას? რაო? ამოიღეს კი არა, კიდევაც მობრეგვეს ჯაფარიძისას?!

მამა უცხონდათ! მერე და კომუჯრედი სად არის? ზევიდან დანიშნულია და ხათრი გვაქვსო?! როგორც დანიშვნა იციან ზევიდან, ისე დაპანღურებაც იციან.

ლევანტი, შენ ეს მითხარი თუ ძმა ხარ, გზები რომ გქონდათ დაწყებული, დაამთავრეთ?

რაო? ახალი დაგეგმილი გზები მოახვნეევიეს გლეხებს და ზედ სიმინდი დათესეს. ასე ესმით ნათესის ფართობის გადიდება მაგათ.

ლევანტი, თუ ძმა ხარ სამკითხველოს შესახებ მითხარი რამე. წრეები აღარც ერთი არ აოსებობს. კედლის გაზეთი წელიწადში ერთი თუ გამოდის.

სად არის, კაცო, სამკითხველოს გამგე? კვირაში ერთხელ აღებს სამკითხველოს?

რადიოზე მაინც არ უნდა მოასმენიონს გლეხებს? რადიოც მუნჯია? აბარ რაღა კეთდება მანდ?

ქეიფობა და ღიღინი „ღვინო, დუდუკი, ქალები“. ვნახოთ როგორ ღიღინებენ ამ ამბავს. რომ ყველა შეიტყობს... ბიჭო, ლევანტი, გლეხკომი რავა არის?

ეხლა აღარ გცალია? სად ჯანდაბაში მიდიხარ? ღვინო შემოაკლდათ კაშპანიაში და შენ უნდა მიუტანო?

ეგ რა ახალი კანონი შემოღლიათ, კაცო? ლევანტი. ლევანტი... არ გესმის, კაცო?.. წკრრ... წკრრ... წკრრ:::: აი დაგექცა ოჯახი.

„კბენია“

სად არის?

(ვაჭირი, კახეთი)



— დედაკაცო, გამო გარეთ! ე ხო ჰხედამ რა სუნი ამოდის ე-ე ფანჯრიდან!

— ქა საით წავიდე აღარ ვიცი! ეშმაკიც ვერ მიაგნებს ჩვენი სამკითხველოს გზას.

განცხადება

სამტრედიის რაიაღმასკომი ამით აცხადებს, რომ ვისაც სურს ცირკულიარის უბრალო და გლეხისთვის გასაგები ენით დაწერა, მოგვმართოს ჩვენ.

აი ნიმუში: „ვინაიდან, რადგან სოფლის მეურნეობის სხვა სახეებთან ერთად უაღრესი მნიშვნელობა აქვს მეაბრეშუმეობას და მეაბრეშუმეობის რეკონსტრუქციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია კვების მექანიზაცია“ და სხვ.

მიღება ყოველდღე. კალმისტარი, მელანი და ქაღალდი ბევრი გვაქვს.

„დეპეშა“

დეპეშა იმიტომ გამოიგონეს, რომ ადამიანს ჰქონდეს საშუალება სასწრაფოთ აცნობოს ამბავი ვინმეს ერთი ქალაქიდან მეორეში. ასე გვესმის ჩვენ დეპეშის აზრი. მაგრამ ფოსტა-ტელეგრაფის თანამშრომლებს რომ ჰკითხოთ, მათ სხვანაირად ესმით დეპეშის შინაარსი: მათი აზრით, დეპეშა ნიშნავს სიტყვას, რომელმაც დავთარი უნდა აუბნიოს ადამიანს.

აი ფაქტებიც:

კვირა დღეა. მამუთლოს მუშკომის თავმჯდომარე ძალზე ნერვიულობს. ამოიღებს დეპეშას და კითხულობს: „მოსკოვიდან გამოგვალთ დღეს და საღამოს ჩამოგვალთ. სვანიძე, პოპონდოპულო“—ეწერა დეპეშაში.

— ვინ უნდა იყოს? აღლად რეკვიზია მოდის, ისიც მოსკოვიდან, დავიღუპე, რა დავაშავე—ფიქრობდა თავმჯდომარე და თმებში თითებს მალავდა. უცებ ვიღაც უცნობი დაინახა,—მე კავშირიდან, ტფილისიდან ვარ, ამხანაგო,—უთხრა ამხ. პოპონდოპულომ და უჩვენა იმ დეპეშის ასლი, რომელიც მან ტფილისიდან გაუგზავნა:—**საბჭოთა მეურნეობის მამულის, სვანიძეს, დღეს გამოვალ. პოპონდოპულო“**—ეწერა დეპეშის ორიგინალში, რომელიც ფოსტა-ტელეგრაფის უზენაესმა და „უსპეტაკესმა“ ბიუროკრატიულმა ხელმა მოსკოვიდან გამოგზავნილ დეპეშათ გადააქცია.

სამტრედიაში ვარ, მინდოდა მუშკოფისათვის გამომეგზავნა ასეთი დეპეშა: **ტფილისი, დოლიძეს, სამტრედიიდან გამოვგზავნე იაპონიის ლობიო ჯამი 25.000 მან. დახვდით. ივანე, პლატონი, ვიკოდი, რომ ტფილისის ფოსტა ასე გადააკეთებდა ჩემს დეპეშას:**

„მოსკოვი, დოლიძეს, სამტრედიიდან გამოვგზავნე იაპონიის ლეგიონი ჯარი 25.000 მანეთით. დახვდით. ეივანე პალტოები“.

ამ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად და თან თავი არ მომძულებია, ვარჩიე თვითონ წამოსვლა ტფილისში.

რადგან ტფილისის ფოსტას სადეპეშო განყოფილებამ ითავა და მისცა „ახალი“ გამოგონება დეპეშათა ნაწილს უნდა გავაკრათ დათაზე ტელეგრაფის სიმებით. ჩემს აზრით კი საჭიროა დაისვას საკითხი ლექსიკონის ავტორების წინაშე, რათა სიტყვა—დეპეშას განმარტებაში შეიტანოს ცვლილება, თუ როგორ, ამას თვით ფოსტა-ტელეგრაფში „ასწავლიან“.

ივანიკა.

„ჯ უ რ უ მ ი“

(ს. ხევი, გურია)

ძოხდა სანდროს პარტიის ორად გაყოფა (ძაგ-ცაათ თურქეთისა) და შესდგა „ჯურუმი“-ს ახალი პატრია. (ღვინის მსმელთა, ასე უძახიან თვით ამ პარტიის წევრები), რომელთაც სათავეში ჩაუდგა უშანგი. მას ზურგს უმაგრებენ ისიდორე, იაკინთე, ახდრო და სხვ.

ახალი პარტია მიზნად ისახავს წინ წასწიოს ს. ხევის მოსახლეობის კულტურული და ეკონომიური მდგომარეობა (ღვინის სმით).

„ჯურუმი“-ს წევრმა (ღვინის მომარაგების საკითხმი) ანდრომ ამ ახალი პარტიის დაარსებასთან დაკავშირებით (როგორც გარეშე საქმეთა მმართველმა) სასწრაფოდ დაუგზავნა დეპეშები მეზობელ ქვეყნებს:

„ბეოლიეთს, ბუესიეთს და ნაბეღლავ-ქვაბღას, რომ „ჯურუმი“ სდგას თავის ძველ მეზობლურ დამოკიდებულებას თვალაზრისზე. ასე რომ ურთიერთობაში არავითარი ცვლილება არ არის მოსალოდნელი. ახალი პარტია ისევ დადგება და ივლის ძველი გზით (სვირის ღვინის სმის გზით)“.

„ჯურუმი“-ს პარტიას მისი ბელადი უშანგის მეთაურობით განზრახვა აქვს გაემგზავროს მეზობელ ქვეყნებში დამოკიდებულების უფრო განმტკიცებისათვის, რასაც საფუძველს ჩაუყრის სვირის ღვინო.

კოდალა.

კულაკის თერმინალოგია

— მამილო, კოლექტივში ტრაქტორი მოიტანეს!
— არა, შვილო, მასე ნუ იტყვი,—კოლექტივში ჩვენი მტერი მოხულა-თქო, ასე სთქვი.

გ ო ლ დ ო რ ი

წითელ შოლტს (ერწო, სამტრედია) შალვა კილაძის ანკეტაში ერთ ადგილას სწერია: „გავქაფე ᲡᲘ ფუთი პური“. თუ ეს მართალია, თქვენი „წითელი შოლტი“ მათთვის არ გვეზარება, ხოლო თუ სიმათლეს მოკლებულია, იგივე „წითელი შოლტი“ არც თქვენ გაწყენს. ეს ამბავი ანკეტაში არ გამოდგება. სჯობდა სხვაგვარად დაგეწერათ.

ხ—ტის. თქვენ გვწერთ, რომ „ქუთაისის ხორცის დამამზადებელ პუნქტში „მუშაობდა“ პროტექციით მოწყობილი **მოსეშვილი,** რომელმაც 1.400 მანეთს ყლაპი უქნა, რისთვისაც ს გამსახლში მიაბრძანეს... ეხლა კი:

კაცი „მწყემსში“ მოწყობილია,
კაცი თვითონ სამწყესავი.
ნეტა, ჩვენ ის გვაცოდინა,
აქ ვინ ჰყავდა ნათესავი.

ალბად ამ გაფრთხილების შემდეგ „მწყემსი“ მწყემს შიუჩენს მას, თორემ ცხვრის ჭურჭში გახვეული მგელი უფრო საშიშია, ვიდრე ნამდვილი.

შ. მიხელაშვილს (ბათომი). ხე-ტყის ქარხანა „აჭარელი გლეხი“-ს შესახებ აკი გვქონდა „ტარტაროზში“ (იხ. „ტარტაროზი“ № 31, მე-12 გვ.), ჯერ ცოტა დავიცადოთ და შემდეგ თქვენც უკეთესად დაამუშავებთ ამ მასალას.

გო—ბოს (სად. ამაშა) ქალმა თუ ქმარი მიატოვა, ჩვენ აქ რა შუაში ვართ, რომ მასზე კარიკატურა დავხატოთ? ან თქვენ რა ნება გაქვთ, რომ სხვის საქმეში გინდათ ხელები გააფათუროთ? ასეთი „სენსაციები“ და სასულელები ბურჟუაზიულ პრესაში იბეჭდება, არა საბჭოთა პრესაში; და მათ გაუგზავნეთ.

გვინჩის: არ დაიბეჭდება.

ბუჭის (ოკრიბა). კოლმეურნეობის ინსტრუქტორის შესახებ გვწერთ, რომ:

შემოუტია სუფრის თავში,
„ჰარალე“-ც დააყოლა.
ამოიღო რევოლვერი
და ჰერში გაისროლა.

კიდევ კარგი, რომ ჰაერში გაუსროლია და არავინ მოუკლავს; საყვედურს რაღას ემართლებით. ადგილობრივი ხელისუფლება თუ ვერაფერს უბედავს, ხოლო ფიქრობს გვენეტაძის განიარაღების საკითხი მომავალ განიარაღების კონფერენციაზე დასხვას, — აქედან არაფერი გამოვა, პირიქით, განიარაღების კონფერენცია ყოველთვის მეტ შეიარაღებას იწვევს.

გუმბარელს (ბათომი) რკ. გზ. დამზღვევი საღაროს მდივანი კიღურაძის შესახებ გვწერთ, რომ:

გალესილი აქვს ენა,
არავინ დაგვიყენა;
უყვარს სუყველას კბენა,
ცხვირიდან სიხლის დენა.

ასეთი კუპლეტები ვერ „მოარჯულებს“. საჭიროა სხვა ზომების მიღება.

ვა—მახ (წითელ-ქალაქი). თქვენ გვწერთ, რომ კოლექტივში ულირსი წევრებიაო, — ღარიბ გლეხს ისაკას სკემესო. და როცა ეს გაიგო:

კოლექტივის თავმჯდომარემ
ცხვირს ქვეშ გაიცინა —ეს რა სასაცილოა, არ ვიცით; ვინაიდან სიცილი უმთავრესად ტუჩებზე გამოიხატება, ხოლო ეს უკანასკნელი ცხვირის ქვემოდ არის, ამიტომ ბუნებრივია, რომ სიცილი „ცხვირს ქვეშ“ იქნებოდა. მაგრამ ეს არაფერი. საკვირველია, სად იყო ამ დროს ადგილობრივი ხელისუფლება, რომ... [illegible] აი თურმე სად ყოფილა!...

აღმასკომის თავმჯდომარე
ლოგინში წევს, ხვრინავს,
მილიციაც ასეთი გვყავს,
მასაც ტკბილად ხძინავს.

არ გააღვიძოთ! ალბად ტკბილ სიზმრებში არიან, რომ ამდენხანს არ იღვიძებენ.

1930

Библиотека-Музей

ბიუროკრატი და უმუშევრობა



— ეს რა ახალი შტატია თქვენი კაბინეტის კარების წინ?
— მთხოვნელთა რიგის დამცველი შტატი... მოგეხსენებათ, უმუშევრობასთან ბრძოლას გვავალებენ!

რედაქ. სარ. კოლეგია, გაზ. „მუშა"-ს გამოცემა; სტამბა „კოლექტივი"; მთავლ. № 1819.